გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 194

2023 წლის 13 ოქტომბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: მერეთში და ქვემო არცევში, ადგილზე არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, იგეგმება ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობა/მშენებლობა, რომლის ღირებულება ჯამში შეადგენს 321 500 (სამას ოცდაერთი ათას ხუთასი) ლარს. გორის მუნიციპალიტეტს ამ ეტაპისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული აქვს 136 500 (ას ოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ლარი. გამყოფი ხაზის მიმდებარე ზემოაღნიშნულ სოფლებში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება უშუალოდ მოემსახურება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინტერესებს და ხელს შეუწყობს ადგილზე ახალგაზრდების ჩართულობისა და აქტივობების ზრდას. მითითებული გარემოებების თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 ოქტომბრის №20-2023286250 წერილით ეცნობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს და გამომდინარე იქიდან, რომ გამოყოფილი ბიუჯეტი საკმარისი არ არის დაგეგმილი სამუშაოების სრულფასოვნად შესრულებისთვის, ეთხოვა თანადაფინანსების მოძიების მიზნით შუამდგომლობა გაეწია პარტნიორ ქვეყნებთან ან/და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. გორის მუნიციპალიტეტის მერის მითითებული წერილის პასუხად, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2023 წლის 17 ოქტომბრის №1805 წერილი, რომლითაც, გორის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ჩინური მხარე გეგმავს ჰუმანიტარულ საჭიროებებზე საპასუხოდ მხარდაჭერა აღმოუჩინოს შესაბამის ადგილობრივ მუნიციპალიტეტს საქართველოსა და ჩინეთს შორის დამყარებული სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში. აღნიშნული მიზნით, ჩინეთის მთავრობის მიერ გამოყოფილია 500,000 (ხუთასი ათასი) ჩინური იუანი (დაახლოებით, 185,000 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი). ამავე წერილით მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს, რომ ჩინურ მხარესა და სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის არსებული კომუნიკაციის საფუძველზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის

ცნობილი გახდა, რომ გამოყოფილი დახმარება შესაბამის ბენეფიციარ მუნიციპალიტეტს ჩინეთის საელჩოს მიერ უნდა გაეწიოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 ოქტომბრისა. მითითებული წერილით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას ხელი შეუწყოს გორის მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლობის დამყარებას საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან გამყოფი ხაზის სოფლებში მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის მიზნით და სათანადო თანადაფინანსების მისაღებად.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-7 პუნქტით საკრებულოს თანხმობა საქართველოს მთავრობის ნებართვის მისაღებად ხელშეკრულების დადებაზე და გრანტის მიღებაზე სავალდებულოა, საჭიროა გორის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ზემოაღნიშნული გრანტის მიღებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: მერეთში და ქვემო არცევში ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მოწყობის/მშენებლობის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მისცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოგან მიიღოს გრანტი 500,000 (ხუთასი ათასი) ჩინური იუანის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვის შემთხვევაში საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსგან მიიღოს გრანტი 500,000 (ხუთასი ათასი) ჩინური იუანის ოდენობით.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე